კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

კურსდამრთავრებულთა კვლევის ანგარიში (2023)

აბსტრაქტი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამრთავრებულთა კვლევის ანგარიშს. გამოიკითხა 2020-2021 წლის კურსდამთავრებულები.

სარჩევი

შესავალი....3
კვლევის მიზანი....3
კვლევის მეთოდოლოგია....4
სამიზნე ჯგუფი....5
შერჩევა....5
მონაცემთა შეგროვების მეთოდი....6
ეთიკური მოსაზრებები....7
კვლევის შედეგები - მონაცემთა ანალიზი....7
ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები....16

შესავალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ქმნის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სტანდარტებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი განხორციელების უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მის ერთ-ერთ ამოცანას პროგრამის კურსდამთავრებულთა საქმიანობისა და მათი დამოკიდებულების შესწავლა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად არსებითად მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა.

2022 წელს კურსდამთავრებულთა კვლევა ჩარდება ე.წ ქსელური ინსტიტუციური მოდელით, რომელიც გულისხმობს ცენტრალიზებული (პროფესიული უნარების სააგენტო) და ინსტიტუციური (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება) ურთიერთანამშრომლობით ადმინისტრირებულ მოდელს.

კვლევის მიზანი

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანს წარმოადგენდა სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კერძოდ, გაგვეგო თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით. კვლევის მიზნების კომპლექსურობიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა კვლევის აღნიშნული მოდელი არაერთ ცვლადს აერთიანებს, რომლებიც რამდენიმე მნიშვნელოვან განზომილებაში შეიძლება დაჯგუფდეს:

1. კურსდამთავრებულის სოციო-ბიოგრაფიული მონაცემები;
2. პროგრამაზე სწავლის გამოცდილება (რეტროსპექტიული შეფასება);

3. სწავლის შედეგები;
4. სამსახურის ძიება, დასაქმება და სამუშაო პირობები.

კვლევის მეთოდოლოგია

ვინაიდან კვლევის დიზაინის ფორმატი ქსელური ინსტიტუციური მოდელია, რაც კვლევის ადმინისტრირებას ცალკეული ინსტიტუციის დონეზე მოიაზრებს, მეთოდოლოგია გულისხმობს ერთი კოჰორტის ფარგლებში კურსდამთავრებულთა სრული აღწერის განხორციელებას (ყველა კურსდამთავრებულის კვლევაში მოწვევას).

კურსდამთავრებულთა კვლევის ქსელური ინსტიტუციური მოდელი აერთიანებს საქართველოში მოქმედ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც თანამშრომლობენ კურსდამთავრებულთა კვლევების განხორციელების პროცესში. თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები გულისხმობს:

- ერთიანი კითხვარის შექმნას, პროფესიული უნარების სააგენტოსა და პსდ-ების თანამშრომლობით;
- კურსდამთავრებულთა კვლევის ჩასატარებლად პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილ ელექტონული პლატფორმაზე მონაცემების შეგროვების პროცესის მართვას;
- მონაცემების შეგროვებას, რომელიც ყველა პსდ-ში მიმდინარეობს სტანდარტული პროტოკოლით საერთო ვადების და ეტაპების გათვალისწინებით. პროცესი უნიფიცირებულია და თითოეული პროვაიდერის მონაცემი კონფიდენციალური;
- პსდ-ს მიერ ინდივიდუალური ელ. ანგარიშის მომზადებას, რომელშიც შესაძლებელია საკუთარი მონაცემების ერთიან მონაცემებთან (ქვეყნის მასშტაბით) შედარება;
- პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შემაჯამებელი კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების გამართვას;

კურსდამთავრებულთა კვლევის ერთი სტანდარტული ციკლის ხანგრძლივობა 6 თვეს შეადგენს დასამ ძირითად ფაზად იყოფა:

- საორგანიზაციო საკითხების მოგვარება - კვლევის დიზაინსა და ინსტრუმენტებში ცვლილებების შეტანა/შეთანხმება;
- ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი - საველე სამუშაოების ჩატარება;
- შედეგები - მონაცემების შეყვანა და ანალიზი.

სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში. პროგრამის დასრულებიდან კვლევაში მონაწილეობამდე დროის ინტერვალი არ უნდა იყოს 1 წელიწადზე მცირე და 2 წელზე მეტი.

კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება ყოველწლიურად.

შერჩევა

ვინაიდან კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება ე.წ. ქსელური ინსტიტუციური მოდელის მიხედვით, რაც კვლევის ადმინისტრირებას ცალკეული ინსტიტუციის დონეზე მოიაზრებს, მეთოდოლოგია გულისხმობს ერთი კოჰორტის ფარგლებში კურსდამთავრებულთა სრული აღწერის განხორციელებას (ყველა კურსდამთავრებულის კვლევაში მოწვევას). ჩვეულებრივ, კვლევაში მოწვეული კურსდამთავრებულთა ნაწილი უარს ამბობს მონაწილეობაზე, გარდა ამისა, პასუხების წილი უფრო დაბალია ელექტონული დისტანციური გამოკითხვის შემთხვევაში. ამ რისკის შესამცირებლად ინსტიტუციებს აქვთ შესაძლებლობა რამდენჯერმე მოიწვიონ კურსდამთავრებულები - სულ მცირე ორი შეხსენების გაგზავნა ერთი-ორკვირიანი შუალედებით.

კურსდამთავრებულთა კვლევამ საქართველოში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2020 და 2021 წლის კურსდამთავრებულები მოიცვა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ამ

პროგრამების განხორციელებაში ჩართულმა ყველა (71) პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. 2020 და 2021 წლის განმავლობაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა 10411-მა სტუდენტმა დაასრულა. ყველა მათგანი მოწვეული იყო კვლევაში მონაწილეობისათვის.ჯამურად, კვლევაში ჩაერთო 3162 კურსდამთავრებული, რაც საერთო რაოდენობის 30%-ს შეადგენს.

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

მონაცემების შეგროვების ძირითად მეთოდს წარმოადგენს ონლაინ გამოკითხვა - სტრუქტურირებული, თვითადმინისტრირებადი კითხვარი. მონაცემთა შეგროვება განხორციელდა კვლევის მეორე ფაზაზე და გულისხმობდა მონაწილეთა მოწვევას, საველე სამუშაოს ჩატარებასა და მონიტორინგს, ნაკლული მონაცემების კონტროლს. მომავალში, სტრუქტურირებული კითხვარის პარალელურად, ასევე, შესაძლებელია, თვისებრივი მეთოდების (მაგალითად, ფოკუს ჯგუფების) გამოყენება გარკვეულ საკვლევ კითხვებზე უფრო სიღრმისეული ინფორმაციის ამოსაღებად. ონლაინ გამოკითხვის გზით ინფორმაციის შეგროვება ნაკლებ რესურსს მოითხოვს პირისპირ ინტერვიუს ან სოფოსტო/სატელეფონო ინტერვიუსგან შედარებით, თუმცა მეთოდის შეზღუდვებს წარმოადგენდა ის, რომ რესპონდენტს არ ჰქონდათ მათთვის გაუგებარი საკითხების დაზუსტების შესაძლებლობა, ისევე როგორც რთულდებოდა რესპონდენტის მიერ კითხვარის შევსების პროცესის კონტროლი (ნაკლულიმონაცემების პრობლემა).

ამ რისკების შესამცირებლად კვლევის ფარგლებში:

- საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო ონლაინ/სატელეფონო დახმარება;
- კითხვარის შევსება შესაძლებელი იყო როგორც კომპიუტერის, ისე მობილური ტელეფონის გამოყენებით;
- კითხვარი შეიცავდა ამომწურავ ინსტრუქციებს, კითხვები დაჯგუფებული იყო შინაარსობრივ ერთეულებად;
- ხორციელდებოდა ატვირთული ინფორმაციის მონიტორინგი და ნაკლული მონაცემების წილის შემცირების ღონისძიებები.

ელექტრონული პორტალი, სადაც განთავსებული იყო სტრუქტურირებული კითხვარი, კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლის მართვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. ელექტრონულ პორტალზე შესაძლებელია კვლევის ზოგადი მიზნების და მთავარი შედეგების შესახებ

ინფორმაციის მოძიება. ასევე, კვლევის ტექნიკური დოკუმენტაციის და მონაცემთა ბაზების (ღია მონაცემების) ჩამოტვირთვა.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულ იქნა ეთიკური მოსაზრებები.კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო კვლევაში მონაწილეობაზეუარის თქმა;
- კურსდამთავრებულებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

კვლევის შედეგები – მონაცემთა ანალიზი

კურსდამრთავრებულთა გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის. კვლევაში მოწვეული იყო 2020 და 2021 წლების კურსდამთავრებულები. ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (საოფისე საქმე, ინფორმაციის ტექნოლოგიების, ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, პრაქტიკოსი ექთანი) 76 მოწვეული კურსდამთავრებულიდან 15-მა მიიღო კვლევაში მონაწილეობა. კერძოდ:

- საოფისე საქმე - 3 რესპონდენტი;
- ინფორმაციის ტექნოლოგიები - 5 რესპონდენტი;
- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - 3 რესპონდენტი;
- პრაქტიკოსი ექთანი - 4 რესპონდენტი.

მათ რამდენიმე თემატური ჯგუფის ფარგლებში შეაფასეს ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც სწავლობდნენ. კერძოდ, თემატური ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია ;
- ორგანიზაციული და სასწავლო პროცესის ასპექტები;
- მიღებული კომპეტენციები და სწავლით კმაყოფილების შეფასება;
- სამუშაოს ძიება და დასაქმება;
- კარიერული ორიენტაცია და შრომითი კმაყოფილება;
- შემდგომი განათლება.

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებმა მნიშვნელობის მიხედვით შეაფასეს პროგრამაზე ჩაბარების მიზეზები. ყველაზე დიდმა ნაწილმა გადაწყვეტილება და საგანმანათლებლო პროგრამისადმი ინტერესის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაციისა და დასაქმების მაღალი შანსის გათვალისწინებით მიიღო. შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობას, ისევე როგორც მშობლების/ახლობლების რჩევას (დიაგრამა #1).

დიაგრამა #1. ჩამოთვლილი მიზეზებიდან, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თითოეული მათგანი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღებისას?



კვლევაში მონაწილე 15 რესპონდენტიდან 13-ს არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე (87%). დანარჩენ ორის შემთხვევაში რეპონდენტებმა მიუთითეს ის მიზეზები, რის გამოც განიხილავდნენ სწავლის შეწყვეტას:

- პროგრამა არ შეესაბამოდა მოლოდინებს
- პანდემიის გამო

დაიგრამა #2. პროგრამაზე სწავლისას, გიფიქრიათ სწავლის მიტოვებაზე?



კვლევა კურსდამთავრებულთა სწავლის მოტივაციის საკითხებსაც ეხებოდა. კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტების უმეტესობას პროფესიულ პროგრამაზე სწავლისას მაღალი (27%) ან ძალიან მაღალი (60%) მოტივაცია ჰქონდათ. შედეგების ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია, რომ ონლაინ დისტანციურ გამოკითხვას ახლავს რესპონდენტების თვითშერჩევით განპირობებული რისკი - კითხვარს უფრო მეტი ალბათობით ავსებენ მეტად მოტივირებული და მონდომებული კურსდამთავრებულები. თუმცა, ამ გარემოების გათვალისწინების შემთხვევაშიც, შედეგები კურსდამთავრებულთა სწავლისადმი მაღალ მოტივაციაზე მიგვითითებს (დიაგრამა #3).

დიაგრამა #3. როგორ შეაფასებდით თქვენს სწავლის მოტივაციას პროგრამაზე სწავლის განმავლობაში?



კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განზომილებას კურსდამთავრებულთა მიერ სასწავლო პროცესისა და ორგანიზაციული ასპექტების შეფასება წარმოადგენდა. კურსდამთავრებულებს ჰქონდათ შესაძლებლობა მთლიანობაში შეეფასებინათ პროგრამაზე სწავლის გამოცდილება და მიეთითებინათ ძირითადი მეთოდები რომლის გამოყენებითაც მიმდინარეობდა საწავლება პროფესიული პროგრამების ფარგლებში. რესპონდენტებმა ხუთქულიან სკალაზე განსაზღვრეს, რამდენად იყო გამახვილებული ყურადღება სწავლების პროცესში ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა პრაქტიკული მეცადინეობები, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. კურსდამთავრებულთა შეფასებით, სწავლების ძირითად მეთოდებს წარმოადგენდა პრობლემებზე ორიენტირებული სწავლება, ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები (დიაგრამა #4).

დიაგრამა #4. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას, რამდენად იყო გამახვილებული ყურადღება სწავლა-სწავლების ქვემოთ ჩამოთვლილ ასპექტებზე?



სასწავლო გარემოსა და რესურსების კომპონენტში კურსდამთავრებულებმა შეაფასეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სხვადასხვა სერვისი და რესურსი. რესპონდენტებს ხუთქულიან სკალაზე უნდა შეაფასებინათ ჩამოთვლილი ასპექტები, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან უარყოფით შეფასებას, ხოლო 5- ძალიან დადებითს. კურსდამთავრებულების აბსოლიტური უმრავლესობა (100%) ძალიან დადებითად აფასებს სწავლების ხარისხს. აგრეთვე, რესპონდენტების 87% ან მეტი ძალიან დადებითად აფასებს მასწავლებლებთან კონსულტაციის შესაძლებლობას, მასწავლებლების კვალიფიკაციას, სტუდენტების კომუნიკაციას ერთმანეთთან, ტექნიკურ აღჭურვილობაზე ხელმისაწვდომობას. სტუდენტების შეფასებები შედარებით უფრო კრიტიკულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირებასა და შშმ/სსსმ პირებისათვის დაწესებულების ადაპტირებულობასთან დაკავშირებით. რესპოდენტების 27% აღნიშნავს რომ არ ჰქონია ინფორმაცია ექსტრაკურიკულარულ აქტივობებთან დაკავშირებით.

დიაგრამა #5. როგორ შეაფასებთ სასწავლო გარემოსა და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ქვემოთ წარმოდგენილ ასპექტებს?



კურსდამთავრებულებმა ხუთქულიან სკალაზე შეაფასეს სერვისები, რომლებიც დასაქმების ხელშეწყობას და სტუდენტების მხარდაჭერას უკავშირდებოდა. კურსდამთავრებულთა უმეტესობა ძალიან დადებითად ან დადებითად აფასებს კავშირს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს შორის, დაწესებულების მხრიდან სტაჟირების შესაძლებლობების ძიების პროცესში დახმარებას, სასწავლებლის მხრიდან დასაქმების/სამუშაოს ძიების პროცესში დახმარებას. შედარებით დაბალია კურსდამთავრებულთა შეფასებები კარიერის მართვის სპეციალისტთან კონსულტაციასთან დაკავშირებით. საინტერესოა, თუ რა ფორმით აგრძელებენ ურთიერთობას კურსდამთავრებულები კოლეჯთან. როგორც ჩანს, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარ რესპონდენტს არ აქვს ურთიერთობა კოლეჯთან სწავლის დასრულების შემდგომ. ძირითად საკომუკაციო წყაროს წარმოადგენს ელექტრონული ფოსტით მიმოწერა და თანამშრომლობა კონსულტაციების გაწევის თვალსაზრისით.

კურსდამთავრებულებმა მიღებული გამოცდილების საფუძველზე, შეაფასეს სწავლის პერიოდში მიღებული კომპეტენციები. შედეგები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულების უმრავლესობამ საფუძვლიანად განივითარა პროფესიული უნარები და პროფესიული ცოდნა. ასევე სხვა ადამიანებთან მუშაობის უნარი, განსხვავებულ პირობებთან ადაპტაციის უნარი და სამუშაო პროცესების ორგანიზების უნარი. თუმცა, მეტად პრობლემურია ე.წ. ტრანსფერული უნარებიდან უცხო ენა (დიაგრამა #6).

დიაგრამა #6. რამდენად შეიძინეთ/განივითარეთ ქვემოთ წარმოდგენილი უნარები/კომპეტენციები სწავლის პროცესში?



ზოგადი შეფასებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 წლის კურსდამთავრებულებში ძირითადად მაღალი ან ძალიან მაღალია. გამოკითხულთა 90%-ს სრულიად დარწმუნებულია, რომ არჩევანის ხელმეორედ გაკეთების შემთხვევაში, კვლავ აირჩევდა იგივე პროგრამასა და 94% საგანმანათლებლო დაწესებულებას. მთლიანობაში, სწავლის პერიოდის შეჯამების შემთხვევაში გამოკითხულთა სრული უმრავლესობა (100%) კმაყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები ერთი შეხედვით ოპტიმისტურად გამოიყურება. სწავლის დაწყების მომენტისთვის პროფესიით დასაქმებულ გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენდა 33.3%-ს, ხოლო თვითდასაქმებული (იმავე ან სხვა მიმართულებით) ჯამში 21%. სწავლის პერიოდში მხოლოდ ერთი რესპონდენტი ეძებდა სამსახურს. კვლევის პერიოდში, გამოკითხულთაგან 2 რესპონდენტი იყო დაუსაქმებელი. რესპონდენტებმა, აგრეთვე, მოგვაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სექტორში არიან ისინი ამჟამად დასაქმებულნი. კურსდამთავრებულთა 40% (6 რესპონდენტი) კერძო სექტორში მუშაობს, 35% (5 რესპონდენტი) - საჯარო სექტორში, ხოლო 7%- (1 რესპონდენტი) საერთაშორისო ორეგანიზაციაში. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რესპონდენტებიდან აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს გამოცდილება საზღვარგარეთ მუშაობის, სტაჟირების ან საზღვარგარეთ სამუშაოს ძიების მიმართულებით.

დიაგრამა #7. ჩამოთვლილთაგან, რომელი იყო თქვენი სტატუსი პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის? გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი.



დასაქმებული კურსდამთავრებულების 25% დაბალი რგოლის თანამშრომელია, 31,3% შუა რგოლის თანამშრომელი, ხოლო 12,5% ზედა რგოლის თანამშრომელი. დაახლოებით მესამედს (31,3%) კი უჭირს საკუთარი სამუშაოს რანგის განსაზღვრა. დასაქმებული რესპონდენტების 39% ამბობს, რომ დაწინაურდა პროგრამის დასრულების შემდეგ. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა უმეტესობის ყოველთვიური ანაზღაურება 900 ლარამდეა. დასაქმებული რესპონდენტების 48% აღნიშნავს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ პერიოდში რომ მისი ხელფასი გაიზარდა, ხოლო 52%-თვის ანაზღაურება არ შეცვლილა.

კურსდამთავრებულთა კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება სწავლის პროცესში შეძენილი კომპეტენციები სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს. რესპონდენტებს შეეძლოთ შეეფასებინათ ჩამონათვალში მოცემული კომპეტენციები ხუთქულიან სკალაზე (1 - საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი, 5- ძალიან მნიშვნელოვანია) დანართი #8. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს რომ პროგრამაზე სწავლისას მიღებულ ცოდნასა და უნარებს იყენებს მიმდინარე საქმიანობაში.

დანართი #8. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად ქვემოთ წარმოდგენილი უნარების/კომპეტენციების ფლობა?



კურსდამთავრებულთა კვლევის კიდევ ერთ განზომილებას რესპონდენტების შრომითი კმაყოფილება და შემდგომი კარიერული გეგმები წარმოადგენდა. რესპონდენტებმა ხუთქულიან სკალაზე შეაფასეს მიმდინარე სამუშაოთი კმაყოფილება (1- სრულიად უკმაყოფილო, 5 - ძალიან კმაყოფილი). გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53%) ძალიან კმაყოფილია სამუშაოთი, ხოლო სრულიად უკმაყოფილო - არც ერთი. (დანართი #9).

დანართი #9. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ამჟამინდელი სამუშაოთი?



კურსდამთავრებულებმა, აგრეთვე, დააფიქსირეს სამომავლო კარიერული გეგმები. რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი (47%) გეგმავს ანაზღაურების გაზრდას მიმდინარე სამუშაო ადგილზე. ასევე დასაქმებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი (20%) ფიქრობს სამსახურის შეცვლას, ხოლო რესპონდენტების 13%-მა

დააფიქსირა სწავლის გაგრძელების სურვილი, როგორც სამომავლო პერსპექტივა, ხოლო რესპონდენტების 20%-ზე მეტი ამ ეტაპზე არ აპირებს ცვლილებებს (ან არ აქვს მიმდინარე გეგმა კარიერული განვითარების მიმართულებით).

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

1. რესპონდენტების უმეტესობას პროფესიულ პროგრამაზე სწავლისას მაღალი (27%) ან ძალიან მაღალი (60%) მოტივაცია ჰქონდათ;
2. რესპონდენტების უმრავლესობამ პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამისადმი ინტერესის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაციისა და დასაქმების მაღალი შანსის გათვალისწინებით მიიღო;
3. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53%) ძალიან კმაყოფილია სამუშაოთი, ხოლო სრულიად უკმაყოფილო - არც ერთი;
4. სწავლის დაწყების მომენტისთვის იმავე პროფესიით დასაქმებულ გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენდა 40%-ს, ხოლო დაუსაქმებული იყო 46%;
5. კვლევაში მონაწილე 15 რესპონდენტიდან 13-ს არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე (87%).

კვლევის შედეგები მკაფიოდ აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა ქსელების განვითარება. იმედს გამოვთქვამთ, რომ კურსდამთავრებულთა ქსელების განვითარებასთან ერთად, ასევე, გაიზრდება კურსდამთავრებულთა კვლევებში გამოპასუხების მაჩვენებელი და მოწოდებული უკუკავშირის ხარისხი. და დასახული მიზნების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვის შესაძლებლობები.